დანართი №2

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარიის“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე
წევრები:
ირმა არსენაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405337880

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 02/08/2024 MES 3 24 0000939362 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში 2024 წლის 12 აგვისტოს(მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N 80)

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, შედგა ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შემუშავდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა/შემუშავება/ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან.

შედგა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სასწავლო საწარმოს წარმომადგენელთან. ასევე შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.

ვიზიტის დროს დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის "ვეტერინარიის" სასწავლო გარემო, მატერიალური რესურსი.

შესწავლილ იქნა, თუ როგორ ხდება კოლეჯში სასწავლო პროცესის ორგანიზება, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგება, როგორია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები(მათ შორის როგორია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების მიდგომები).

ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში პროგრამით გათვალისწინებული მოდულების **სწავლის შედეგების განხორციელების უზრუნველსაყოფად**

- ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი -მესამე და მეოთხე შედეგი;
- ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა-მეორე, მესამე და მეოთხე შედეგი;
- შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა-მეორე, მესამე და მეოთხე შედეგი;
- ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია-მესამე და მეოთხე შედეგი;
- ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია-მესამე, მეოთხე,მეხუთე,მეექვსე და მეშვიდე შედეგი.
- ცხოველთა მკურნალობა-სრულად;
- ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები-მეხუთე შედეგი;
- ვეტერინარი ქირურგის ასისტირება-მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე შედეგი;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა-მეორე, მესამე, მეოთხე,მეხუთე და მეექვსე შედეგი.

დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელთან ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი მოდულების შედეგების მიღწევისთვის საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების სრულად მიღწევას.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ზოგადი რეკომენდაცია:

რეკომენდებულია დაწესებულებამ კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში დროულად ასახოს სხვადასხვა საკანონმდებლო მოთხოვნები/ცვლილებები, მაგალითად 416-ე დადგენილების მოთხოვნები, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება No110/ნ 2024 წლის 24 ივნისი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის No42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ინდიკატორი 2.1.1.1 კოლეჯის სახელწოდებაა „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“, განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი პროგრამების განაცხადების გათვალისწინებით რეკომენდებულია კოლეჯმა იზრუნოს სახელწოდების ცვლილებაზეც, რადგან მისი პროგრამების სპექტრი უფრო მრავალპროფილური ხდება ვიდრე მხოლოდ სამედიცინო მიმართულება.

ინდიკატორი 2.1.1.3 გადამუშავდეს ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.(იხ.ინდიკატორის აღწერა)

ინდიკატორი 2.1.1.6 -შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის” დებულების თანახმად საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია - კოლეჯის დირექტორი (მუხლი 5 პუნქტი 5,5.) ჩანაწერი პროგრამის დამტკიცების შესახებ არის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც, მუხლი 2 (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა)რომლის თანახმად „3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლეჯი.“ რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს ეს ჩანაწერი და მოიყვანოს შესაბამისობაში დებულებაში არსებულ ჩანაწერთან.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის პასუხად დაწესებულებამ ცენტრში გამოაგზავნა არგუმენტირებული პასუხი(№ 00010675 26/08/2024), რომელშიც კოლეჯი დაეთანხმა ექსპერტების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს და დანართის სახით წარმოადგინა დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით დამტკიცებული(№ 00010656 26/08/2024) ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიზნით შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად დაგეგმილია სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებების გაფორმება, შესაბამისი მოდულების მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აქტივობის შესრულება დაგეგმილია 15.08.2024 - 30.10. 2024. ვადაში.

ექსპერტებმა გაითვალისწინეს კოლეჯის წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და და ინდიკატორები 2.2.1.1 ; 2.4.1.5. შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	22 მაისი 2024 ბრძანება N00004811

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N 80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ:** კოლეჯის მისიაა „განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას;

იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;

მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე;

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2022-2028) გაწერილი მიზნები და ამოცანები ემსახურება მისიის აღსრულებას და ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითრება", რომლის ამოცანაა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება შრომის ბაზრისა და ეკონომიკური სექტორის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია" მიზანშეწონილობის დასაბუთება. კოლეჯი პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემებს, რომლის კვლევის თანახმად საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონებში, ვეტერინარების დეფიციტია. ვეტერინარის საშუალო ასაკი 60 წელია, ახალგაზრდებში კი ეს პროფესია პოპულარული არ არის. კვლევის თანახმად კურსდამთავრებულთაგან უმეტესობა ვეტერინარულ კლინიკებში იწყებს მუშაობას, ძირითადად თბილისში, რეგიონებში კი მუდმივად კადრის სიმცირეა. ბოლო 9 წლის განმავლობაში ქვეყანაში ვეტერინარების კატასტროფულად მცირე რაოდენობის მომზადება ხდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტები პირველი მაისიდან ამოქმედდა, რაც ზრდის აღნიშნული სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობას

კოლეჯი დაეყრდნო ასევე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კვლევას, რომლის ანალიზის თანახმად დაყრდნობით საქართველოში 7-10 წლის შემდეგ შეიძლება სოფლის ვეტერინარების სერიოზული დეფიციტი წარმოიშვას.

წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება ჩართულიყო ახალი პროგრამის განხორციელებაში რადგან თვლის, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია სოფლებს თანამედროვე უნარებით აღჭურვილი ვეტერინარები ემსახურებოდეს, რაც მესაქონლეობის განვითარებასაც შეუწყობს ხელს, ტურიზმსაც, სოფლებზეც დადებითად იმოქმედებს და ქვეყანის ეკონომიკაზეც.

ექსპერტთა შეფასებით გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

მოგეხსენებათ კოლეჯის სახელწოდებაა მარნეულის სამედიცინო კოლეჯი, მაგრამ წარმოდგენილი პროგრამების განაცხადების გათვალისწინებით **რეკომენდებულია** კოლეჯმა იზრუნოს სახელწოდების ცვლილებაზეც, რადგან მისი პროგრამების სპექტრი უფრო მრავალპროფილური ხდება ვიდრე მხოლოდ სამედიცინო მიმართულება.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.** კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (სრული ზოგადი განათლება)

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში(დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის ბრძანება N01/29 ცვლილებები 2022 წლის 20 დეკემბერი ბრძანება N 01/77) მუხლი 30 გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია A, B და C გარემოს მახასიათებლები.მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი "30.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა." ამავე დოკუმენტის თანახმად "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. “

დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა განახლებული “ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია” თუმცა აღნიშნული მეთოდოლოგიის დოკუმენტში სრულად მაინც არ არის წარმოდგენილი სრულად ის ფაქტორები, რაც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას. მაგალითად, ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა(განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლებში ან ორ პარალელურ ჯგუფად უნდა განხორციელდეს სწავლება); კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა ის მაქსიმალური რაოდენობა (პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს შეუძლია მიიღოს; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები); საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული გეგმები და სხვა ვიზიტის დროს გამახვილდა ყურადღება ამ საკითხებზე. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა საკმარისია ორ ცვლაში მეცადინეობის ჩატარების მიდგომის გათვალისწინებით. კოლეჯის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ პროგრამის დაგეგმვისას, ზღვრული ოდენობის განსაზრვისათვის ითვალისწინებს არა მარტო გარემოს გამტარობას, არამედ მატერიალურ, ადამიანურ თუ სასწავლო რესურსების ოდენობას პროგრამისათვის “ვეტერინარია” გამოყოფილია რამდენიმე გარემო, რომლებიც ერთ ცვლაში იტევს 25 პროფესიულ სტუდენტს. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ითხოვს ორ ცვლაში 50 პროფესიულ სტუდენტს

განმავითარებელი რეკომენდაცია: რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგის ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი, რომლის ფაქტობრივი ფლობაც გადამოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკაში. წარმოდგენილი რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, მოდულით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია ბიბლიოთეკაში, და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ:შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" დებულების თახმად საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია - კოლეჯის დირექტორი (მუხლი 5 პუნქტი 5,5.) შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის'' დირექტორის ბრძანებით. (22 მაისი 2024 ბრძანება N00004811.)

ჩანაწერი პროგრამის დამტკიცების შესახებ არის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც, მუხლი 2 (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა)რომლის თანახმად „3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლეჯი." **რეკომენდებულია** დაწესებულებამ დააზუსტოს ეს ჩანაწერი და მოიყვანოს შესაბამისობაში დებულებაში არსებულ ჩანაწერთან.

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: პროგრამის სახელწოდება - „ვეტერინარია" სრულ შესაბამისობაშია მისაღწევ სწავლის შედეგებთან, საგანმანათლებლო სტანდარტთან, პროფესიულ სტანდარტთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია დამტკიცებული საგანამანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში. პროგრამის სწავლის შედეგებად განსაზრვრულია, რომ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს : უმკურნალოს ცხოველებს ვეტერინარის დანიშნულების მიხედვით; კომპეტენციის ფარგლებში გასცეს რეკომენდაციები/რჩევები ცხოველთა დაავადებებსა და დაზიანებებზე; უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება ცხოველის, მათ შორის შინაური ცხოველის მსუბუქი დაზიანებისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს; განახორციელოს ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით, შეასრულოს ტექნიკური დავალებები; აიღოს ლაბორატორიული სინჯები, მოაგროვოს და ჩაატაროს ექსპრესტესტები; ვეტერინარს გაუწიოს ასისტირება ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დადგენისას და რუტინულ სტომატოლოგიურ პროცედურებში; განახორციელოს ცხოველთა საკვებისა და კვების პროცესის მონიტორინგი; აღრიცხოს და ჩამოწეროს მედიკამენტები, ქიმიკატები და სხვა ფარმაცევტული მასალები; მიიღოს მონაწილეობა ცხოველთა ზოგად პროფილაქტიკურ, საკარანტინე-შემზღუდველ, გეგმიურ და იძულებით ეპიზოოტიის საწინააღმდეგო (ვაქცინაცია, დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია, დეგაზაცია, დეზოდორაცია, დეზაკარიზაცია) ღონისძიებებში; განახორციელოს ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; ვეტერინარის ზედამხედველობით განახორციელოს ცხოველთა დაკვლის შემდგომი შემოწმება.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძელია ჩარჩო დოკუმენტი „ვეტერინარია“. კოლეჯს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მუხლი N8 გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება, დანერგვა, დამატება და მოდიფიცირების მექანიზმები. რომლის თანახმად კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, სარეგიტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, არჩევითი მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიული მასწავლებლები.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ თანდართული მოდულებით და სხვა დანართებით. პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ პროგრამა არ იყო სრულად ადაპტირებული. პროგრამის ძირითად დოკუმენტში არ ჩანდა თუ რამდენი ხანი გრძელდება პროგრამა, ასევე არ ჩანდა რამდენი კრედიტი იყო პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. ასევე არ იყო მოდულები სრულად ადაპტირებული, დამხმარე ჩანაწერებში იყო არა დაზუსტებული, არამედ სარეკომენდაციო ჩანაწერები. მაგალითად: ”რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის”; “საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა”

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულში "გაცნობითი პრაქტიკა" სტანდარტულ ჩანაწერებში მესამე შედეგზე მითითებული შეფასების მიმართულებაა -პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, ხოლო დამხმარე ჩანაწერებში მითითებული იყო ორი მიმაართულება გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ცვლილებებით დამტკიცებული პროგრამა, სადაც გასწორებულია ზემოთ აღწერილი უზუსტობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დებულება
- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი-დამტკიცებული დირექტორის 2024 წლის N10144 ბრძანებით
- კოლეჯის მისია და სტრატეგიული გეგმა https://www.mscollege.ge/aboutge/misia-xedva.html
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი
- პროგრამის დამტკიცების აქტი და საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი,მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი''საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ცვლილება პროგრამაში „**ვეტერინარია**" N0001101432024 09/08/2024

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ განხორციელების მისამართია: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა ქ. N80. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი დარგობრივი ინტეგრირებული AC გარემო რომელიც აღჭურვილი იქნება გარკვეული პროფესიული ინვენტარით: სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ჩონჩხებით, ცხოველთა ჩონჩხის ცალკეული ნაწილებით, მულიაჟებით(ძროხა, ღორი, ცხვარი, ფრინველი) და სხვა დარგობრივი ვიზუალური თავლსაჩინოებებით და ვეტერინარული ხელსაწყოების ნაკრებით.დაწესებულებამ უკვე განახორციელა შესყიდვა და წარმოადგინა გადახდის(შესყიდვის)დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა. გარემო, ასევე სრულადაა აღჭურვილი A გარემოსათვის საჭირო ინვენტარით, მერხებით და სკამებით, მასწავლებლისთვის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, სამუშაო ადგილები პროფესიული სტუდენტებისთვის და B გარემო, სადაც განხორციელდება კომპიუტერული პროგრამის სწავლება. B გარემოში განთავსებულია სამუშაო ადგილი და კომპიუტერის კომპლექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

25 პროფესიული სტუდენტისთვის, ასევე 1 სამუშაო ადგილი და 1 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 პრინტერი/კომბაინი, 1 პროექტორი.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, კოლეჯს დამატებით აქვს კიდევ სამი B გარემო, რომლებიც გამოიყენება სხვა პროგრამებისთვისაც.

დათვალიერდა C გარემო (სასწავლო / პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობისთვის) , რომელიც წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად კოლეჯის ფართი არის საოცრად მოწესრიგებული, ძალიან სუფთა, დერეფნული სისტემით, ყველა აუდიტორია არის ნათელი, მშვიდ ფერებში გადაწყვეტილი, კომფორტული. არის ცენტრალური გათბობა და კონდიციონერები. სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები განლაგებულია ისე, რომ შეუფერხებლად წარიმართოს სასწავლო პროცესი. კოლეჯის შემოსასვლელში განთავსებულია სივრცე საინფორმაციო უზრუნველყოფის პერსონალისთვის. ფოიეში დგას წყლის დისპენსერი და არის საინფორმაციო დაფები. არის სტუდენტური და მასწავლებელთა დასვენებისა და სამუშაო სივრცეები. სველი წერტილები გამიჯნულია და არის ცალკე ადაპტირებული სველი წერტილი.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინდ.მეწარმე ა. კ.-სთან .ა.კ. გახლავთ პროგრამის ხელმძღვანელიც. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ოთხი პროფესიული მოდულის განხორციელება. ესენია :

1. ცხოველთა კვება
2. ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა
3. პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება
4. ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია

შესაბამისად **კოლეჯს არა აქვს უზრუნველყოფილი პროგრამის ყველა მოდულისათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ეს მოდულებია:**

- ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი -მესამე და მეოთხე შედეგი;
- ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა-მეორე, მესამე და მეოთხე შედეგი;
- შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა-მეორე, მესამე და მეოთხე შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია-მესამე და მეოთხე შედეგი;
- ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია-მესამე, მეოთხე,მეხუთე,მეექვსე და მეშვიდე შედეგი.
- ცხოველთა მკურნალობა-სრულად;
- ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები-მეხუთე შედეგი;
- ვეტერინარი ქირურგის ასისტირება-მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე შედეგი;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა-მეორე, მესამე, მეოთხე,მეხუთე და მეექვსე შედეგი.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს სხვადასხვა სახეობის ფერმებთან, ვეტერინერულ კლინიკებთან, ცხოველთა სასაკლაოებთან და ვეტერინარულ აფთიაქებთან, რათა სრულად მოხდეს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებულ სასურველ შედეგებზე გასვლა. **დაწესებულების დირექტორთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი გეგმავს დამატებით ხელშეკრულებების გაფორმებას.**

აღნიშნულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა როგორც შეუსაბამო. ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა (დირექტორის ბრძანება № 00010656 26/08/2024) ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიზნით შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად გათვალისწინებულია მატერიალური რესურსით უზრუნველყოფისათვის სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებების გაფორმება, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აქტივობის შესწრულებას დაწესებულება გეგმავს სწავლის დაწყებამდე(15.08.2024 - 30.10. 2024.)

დაწესებულებას პროგრამაზე „ვეტერინარია“ მოთხოვნილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 50. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოთხოვნილ კვოტას, თუ სრულად შესრულდება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება მოთხოვნილი კვოტის გათვალისწინებით.

ექსპერტების მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან პედაგოგიური გამოცდილებით .პროგრამას ახლავს დანართი 1(ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ) დანართის თანახმად ყავს ექვსი ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირი, ხოლო შვიდი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი. იმ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან მიმართებაში, რომლებიც სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეც ახორციელებენ რიგ მოდულებს, შესწავლილ იქნა მათი დატვირთვის სქემები. დატვირთვა წარმოდგენილი სასწავლო გეგმ(ებ)ის შესაბამისად არ აღემატება კვირეულ 40 საათიან დატვირთვას.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია მოთხოვნები პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ. წესის თანახმად “6.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში. 6.2. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება.ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ.

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხელშეკრულებები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონითა და კოლეჯის მარეგულირებელი წესით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული დარგის სპეციალისტების პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ ყველას უდასტურდება როგორც დარგობრივი ისე სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ :კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია მოთხოვნები პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ, რომლის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: უნდა ქონდეს „5. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) დარგის/მიმართულების შესაბამისი აკადემიური/პროფესიული კვალიფიკაცია.

ბ) დარგის/მიმართულების შესაბამისი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მტკიცებულებები ადასტურებდს შესაბამის კვალიფიკაციასა და პირის სამუშაო გამოცდილებას. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ამავდროულად თავად წარმოადგენს პროგრამის პარტნიორ ერთ-ერთ იურიდიულ პირს.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცე (სამკითხველოთი) სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/ დასკანერება. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი და ბიბლიოთეკის წესი (https://www.mscollege.ge/images/files/pdf/bibliootekit-sargeblobis-wesi.pdf). კოლეჯს შესყიდული აქვს „openbiblio”(https://www.mscollege.ge/openbiblio/opac/)

კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკის კატალოგი, ხოლო ბიბლიოთეკარი აწარმოებს ჩანაწერებს. კოლეჯი ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "ვეტერინარია", მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში და ასევე ჩაწერილია CD დისკებზე.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერით, კომბაინით, 6 მაგიდით, 10 სკამით. შესაძლებელია ელექტრონული კატალოგით სარგებლობა. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ. ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. რეგულაციის თანახმად: იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ ეტაპზე კოლეჯში სსსმ პირები არ ირიცხებიან.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს. რენტაბელობის ზღვარი მითითებულია 15 პროფესიული სტუდენტი. **დაწესებულება გეგმავს ჯგუფში 25 სტუდენტის მიღებას, შესაბამისად წარმოდგენილი გათვლებით ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, (https://www.mscollege.ge/images/files/pdf/bibliootekit-sargeblobis-wesi.pdf)
- „openbiblio"(https://www.mscollege.ge/openbiblio/opac/)
- პროფესიული განათლების მასწავლებლების,პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო გარემოს შესახებ;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება;
- მატერიალური რესურსის შეძენის დოკუმენტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია" დანართი მატერიალური რესურსი

და სასწავლო გარემო;

- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კერძოდ: კოლეჯის დირექტრის ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მართვის წესში მუხლი 8. გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების მექანიზმები. პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება,დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) შრომის ბაზრის მოთხოვნების, დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის კვლევას. მიღებული მონაცემების დამუშავება,შეფასების შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა დაიდენტიფიცირდეს გასაუმჯობესებელი მხარეები. ხდება რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - პროგრამის განვითარების მიზნით.

პროგრამის შეფასებას თავ-თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რისთვისაც ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა მეთოდებს. პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმების გამოყენებით ელექტრონულ გამოკითხვებს, სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდს და სხვა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარების ფორმები.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს კოლეჯის საქმიანობის და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას: ა) შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება - კოლეჯის საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ბ) გარე შეფასება - ავტორიზაციის პროცესში მიღებული შეფასებები. ასევე, შეფასების მიზნით მოწვეული ექსპერტების, პარტნიორი კომპანიების, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე" ციკლის (PDCA) პრინციპით.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პერიოდულ გამოკითხვას, რის საფუძველზეც შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფების გამოკითხვისა და დაკვირვების მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. კვლევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული გეგმით გათვალისწინებულ ვადებში სხვადასხვა მიმართულებით.

ელ. სისტემაში დაწესებულებას ატვირთული აქვს შემდეგი კითხვარები - განმახორცილებელი პირის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი, მსმენელის მიერ განმახორციელებელი პირის შეფასების კითხვარი, ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა კვლევის(ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში) დოკუმენტაცია. გარდა პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვისა დაწესებულება ახორციელებს განმახორციელებლი პირების მიერ პროგრამის შეფასებას და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვას.

პროგრამის განმახორციელებელი პირები ეცნობიან კითხვარის შედეგების ანალიზს, ახორციელებენ სამუშაო შეხვედრებს, აღნიშნული აქტივობების შედეგად დაწესებულებამ განავითარა პროგრამა, დაამატა საათების რაოდენობა, ასევე შეცვალა(გაამდიდრა) თემატიკა.

კოლეჯის ადმინისტრაციის განცხადებით პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ დაგეგმილია განმახორციელებელთა სამუშაო ჯგუფის შექმნა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო პროცესში მოხდება გამოკვეთილი საკითხების იდენტიფიცირება, და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ცვლილებები.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის კითხვარები
- პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების წესი
- კითხვარებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; კერძოდ: დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ დანართი 3-ით წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, პროფესიული სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვა. განსაზღვრულია საათები დამოუკიდებელი და საკონტაქტო სწავლებისა და შეფასებისთვის. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სალექციო ცხრილების და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: სასწავლო პროცესის წარმართვის არსებული გამოცდილებით სასწავლებელი მოქნილად რეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებს ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას. კოლეჯი სასწავლო წლის დაწყებისას აწყობს გაცნობით, საინფორმაციო შეხვედრებს პროფესიულ სტუდენტებთან, აცნობს მარეგულირებელ წესებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს. საჭიროების დადგომის შემთხვევაში სასწავლო პროცეს გეგმავს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაციაც, რაც გულისხმობს სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული გეგმის შემუშავებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო პროცესში სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით არის დარეგულირებული შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მობილობის, შეწყვეტისა და შეჩერების წესიც.

მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე/ ეცნობება დაინტერესებულ პირებს სასწავლებელში მოქმედი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ადმინისტრაციისა და განმახორციელებელ პირთა ინფორმაციით, აქტიურად სარგებლობენ შიდა საკომუნიკაციო ჯგუფებით და ცხრილებსაც ამგვარად აწოდებენ. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; კერძოდ:მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, პრაქტიკული უნარის დემონსტრირება; კეთება ინსტრუქტაჟი და სხვა. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.

კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული პროფესიული მოდულების მასწავლებლები დარგის მოქმედი სპეციალისტებია, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს და მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებლებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უტარდებათ ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულ პირებს აქვთ თანამედროვე მეთოდებით სწავლების სათანადო კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; კერძოდ: კოლეჯში დამტკიცებულის ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. რეგულაცია გულისხმობს გეგმის შედგენას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ინდივიდუალური გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს გაუწევენ შესაბამისი პირები.

ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებას პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს მემორანდუმი ინდმეწარმე ამ. კ. (ს.კ.12001006553). მემორანდუმში ზღვრული რაოდენობა მითითებულია 50 პროფესიული სტუდენტი.

როგორც ინდიკატორის **2.2.1.1 აღწერაში აღინიშნა** ამ ობიექტზე დაფარულია მხოლოდ ოთხი მოდულის განხორციელება.რიგი მოდულებისათვის არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებები, ჩამოთვლილი შედეგები კი კოლეჯში ვერ მიიღწევა. კერძოდ:

- ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი -მესამე და მეოთხე შედეგი;
- ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა-მეორე, მესამე და მეოთხე შედეგი;
- შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა-მეორე, მესამე და მეოთხე შედეგი;
- ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია-მესამე და მეოთხე შედეგი;
- ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია-მესამე, მეოთხე,მეხუთე,მეექვსე და მეშვიდე შედეგი.
- ცხოველთა მკურნალობა-სრულად;
- ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები-მეხუთე შედეგი;
- ვეტერინარი ქირურგის ასისტირება-მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე შედეგი;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა-მეორე, მესამე, მეოთხე,მეხუთე და მეექვსე შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე აღნიშნული ხელშეკრულება სრულად არ მოიცავს საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 2022 წლის 9 აგვისტო "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნებს: ბ) პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება; დ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის; ვ) პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს სხვადასხვა სახეობის ფერმებთან, ვეტერინერულ კლინიკებთან, ცხოველთა სასაკლაოებთან და ვეტერინარულ აფთიაქებთან, რათა სრულად მოხდეს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებულ სასურველ შედეგებზე გასვლა.
ვინაიდან, აღნიშნული თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ არ იყო საკმარისი და ვერ უზრუნველყოფდა პროგრამიმს შედეგების სრულად მიღწევას, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი 2.4.1.5 შეფასდა როგორც შეუსაბამო. ინდიკატორის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა (დირექტორის ბრძანება № 00010656 26/08/2024) შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მისაღწევად ხელშეკრულებების გაფორმება შესაბამის ორგანიზაციებთან მოდულების შედეგების მიღწევისთვის საჭირო მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აქტივობის შესრულებას დაწესებულება გეგმავს სწავლის დაწყებამდე(15.08.2024 - 30.10. 2024.) აღნიშნულის გათვალისწინებით **ექსპერტების მიერ ინდიკატორი** 2.4.1.5 **შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები,ასევე შემუშავებულია უსაფრთხოების წესები და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია კოლეჯი თანამშრომლებს რეგულარულად უტარებს საინფორმაციო შეხვედრებს და ინსტრუქტაჟებს. ვიზუალური დათვალირებითაც დადგინდა, რომ კოლეჯში დამონტაჟებულია მანიშნებლები, კვამლის დეტექტორები, სათანადო ადგილზე განთვსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის უსაფრთხოების წესები
- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია
- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ხელშეკრულება ინდივიდუალურ მეწარმე ა.კ.-სთან
- გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმებს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. გამოცდაზე უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გავიდნენ ის სტუდენტები, ვინც არ გამოცხადდა გამოცდაზე ან არ დაუდასტურდათ სწავლის შედეგი. სტუდენტებს ინფორმაცია განმეორებითი გამოცდის თარიღის შესახებ მიეწოდებათ პირადად, ტელეფონით, სოციალური ქსელით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშ გაწერილია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის რეგულაციაც.
კოლეჯის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შეფასების შედეგებს აცნობენ ინდივიდუალურად სტუდენტებმა ყოველთვის დროულად იციან შეფასების თარიღი და მიდგომები. შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.
შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირი და უთანხმებს პროგრამის ხელმძღვანელს. შეფასება ხორციელდება ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. შეფასების მტკიცებულებები და უწყისები აღრიცხულია და მიკვლევადი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.
გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ დაწესებულებაში ხორციელდება ვალიდაცია.

დაწესებულებამ წარმოადგინა განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, რომლებიც აკინძულია და აღრიცხული. შეფასების მტკიცებულებები მოთავსებულლია სტუდენტის პორტფოლიოში.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“ აღნიშნული წესის მესამე მუხლი არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში არ შედის შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და ინსტრუმენტით მოსარგებლე შემფასებელი). შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. წინასწარ შემუშავებული ფორმის საშუალებით
ვერიფიკაციის პროცესის შედეგად ეტაპობრივად მოგროვებული ინფორმაცია აისახება ვერიფიკაციის ანგარიშებში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის ურუნველყფოსი სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს/განმახორციელებელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.4.2 შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ინდიკატორი 2.4.4.3 შესაბამისობაშია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში არსებული რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც,განმახორციელებელი პირი პროფესიულ სტუდენტებს ყოველთვის აძლევს უკუკავშირს, ხდება მასწავლებლებს შორის შეფასების შედეგების განხილვა. მიღებულ შედეგებს დაწესებულება იყენებს შემდგოი განვითრებისათვის. ამავე მიზანს ემსახურება დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი, მასში აღიწერება შესასრულებელი სამუშაო და ინსტრუქტორის მითითებები.

ინდიკატორი 2.4.4.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი;
- დასწრების აღრიცხვის ფორმა
- ვიზუალური დათვალიერებით
- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

02.09.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: